ნიკოლოზ (ნიკო) ავალიშვილი

მწერალი და საზოგადო მოღვაწე, რეჟისორი და მსახიობი ნიკოლოზ (ნიკო) ავალიშვილი 1844 წლის 4 ივლისს დაიბადა გარეკახეთის სოფელ საგარეჯოში. მამამისი იაკობი იყო მღვდელი და კალიგრაფი, რომელსაც „ვეფხისტყაოსანიც“ გადაუწერია სხვა წიგნებთან ერთად. მსახურობდა სამხედრო ნაწილში, 1849 წელს კი მალარიით გარდაიცვალა. ნიკოს დედა მცირეწლოვანი შვილებით თბილისში ჩამოვიდა უფროს ვაჟთან, დავითთან, რომელმაც უმცროს ძმას უმამობა არ აგრძნობინა.

ნიკოლოზ ავალიშვილმა 1862 წელს დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია. შემდეგ თავისუფალ მსმენელად ირიცხებოდა მოსკოვის უნივერსიტეტის საბუნებისმეტველო ფაკულტეტზე. ფლობდა რუსულ, ფრანგულ და ლათინურ ენებს. რუსეთში დაუახლოვდა თერგდალეულებს. აკაკი წერეთელთან ერთად აპირებდა მოსკოვში სტამბის დაარსებას, რომელშიც ქართულ წიგნებს დაბეჭდავდნენ და ქართველ სტუდენტებს დაასაქმებდნენ, მაგრამ ვერ მოახერხეს. 1866 წელს დაბრუნდა სამშობლოში, დაბინავდა თბილისში და ჩაება საზოგადოებრივ საქმიანობასა და მწერლობაში.

1867 წელს ჩამოაყალიბა სცენისმოყვარეთა დრამატული წრე და წარმოდგენების გამართვა დაიწყო. 1869 წელს დააარსა ყოველთვიური სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალი „მნათობი“ (1869-1872 წწ.). პარალელურად აქვეყნებდა სტატიებს „სასოფლო გაზეთში“, რომლის რედაქტორიც იმხანად მწერალი და საზოგადო მოღვაწე გიორგი წერეთელი იყო.

1875 წლიდან მართავდა წარმოდგენებს საგარეჯოში და იყო საგარეჯოს თეატრის დაარსების მოთავე. ერთ-ერთი დამაარსებელია ქართული დრამატული საზოგადოებისა, რომლის გამგეობის წევრიც იყო წლების განმავლობაში. მისი რეჟისორობით იმართებოდა სცენისმოყვარეთა წარმოდგენები. ამავდროულად ასრულებდა სახასიათო როლებსაც და ნიჭიერ მსახიობადაც მიიჩნევდნენ.

ნიკო ავალიშვილი ზრუნავდა მშობლიური გარეკახეთის აღორძინებაზე. დიდი წვლილი მიუძღვის თბილისი-სიღნაღის გზის შეკეთებაში.1877 წელს საგარეჯოში მისი თავმჯდომარეობით გაიხსნა „ივრის დამზოგველი ამხანაგობა“. მანვე გამოიგონა ხორბლის სალეწი ახლებური კევრი, რითაც ძალიან დაეხმარა ადგილობრივ გლეხებს.

ნიკო ამავდროულად ეწეოდა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას. განსაკუთრულია მისი ღვაწლი ქართული თეატრის განვითარებაში. 1879 წელს მისი რეჟისორობით ჩამოყალიბდა ჟურნალ „მნათობის“ რედაქციასთან არსებული დრამატული წრე, რომელიც სისტემატურად მართავდა წარმოდგენებს საცხოვრებელ სახლებსა და კლუბებში. ნიკოლოზ ავალიშვილი ეწეოდა მთარგმნელობით მუშაობასაც. თარგმნა სერვანტესის „დონ კიხოტი“, ფრიდრიხ შილერის ტრაგედიები „ვილჰელმ ტელი“, „ყაჩაღები“, „მარიამ სტიუარტი“, ბომარშეს „ფიგაროს ქორწინება“, ალექსანდრე სუმბათაშვილი-იუჟინის „ღალატი“, რომელიც 1906 წელს წიგნად გამოიცა. ამავე დროს პერიოდულ გამოცემებში ხშირად აქვეყნებდა რეცენზიებს, სტატიებსა და მოგონებებს ქართული თეატრზე. შეადგინა ქართული თეატრის მატიანე (სქემა) 1861 წლიდან ვიდრე 1879 წლამდე. ავტორია მრავალი გამოქვეყნებული და გამოუქვეყნებელი ნაშრომისა. მისი თხზულებები ძირითადად იბეჭდებოდა ჟურნალებში „ცისკარი“, „მნათობი“ და „ივერია“.

ნიკო ავალიშვილი გარდაიცვალა თბილისში, 1929 წლის 17 სექტემბერს. დაკრძალულია ვერის სასაფლაოზე.

აი, რას წერდა იმდროინდელ პრესაში გამოქვეყნებულ ნეკროლოგში იოსებ გრიშაშვილი: „ნიკო იაკობის ძე ავალიშვილი 65 წელიწადი განუწყვეტლივ მოღვაწეობდა საზოგადო ასპარეზზე. მიუხედავად ღრმა მოხუცებულობისა, სიკვდილამდე კალამი არ გაუგდია ხელიდან და ახალგაზრდული ენთუზიაზმით კვლავ წერდა. 14 წლის განმავლობაში (1867-1880 წწ.) ხელმძღვანელობდა ქართულ თეატრს და გიორგი ერისთავისა და ივანე კერესელიძის შემდეგ ქართული თეატრის ერთ-ერთ დამაარსებლად და პირველ რეჟისორად მიიჩნევა“.

ნიკოლოზ ავალიშვილის პირადი საარქივო ფონდი

ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

1. კავკასიის საცენზურო კომიტეტის მიერ გაცემული ნებართვა ნიკოლოზ ავალიშვილის რედაქტორობით ყოველთვიური ქართულენოვანი ჟურნალის გამოცემასთან დაკავშირებით.
1868 წ. 4 ივლისი. ტფილისი. ხელნაწერი. მელანი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

2. ჟურნალ „მნათობის“ მისაღებად გაცემული ქვითარი ნ. ავალიშვილისადმი.
1871-1872 წწ. ბლანკი. ხელს აწერს რედაქტორი და გამომცემელი ნიკოლოზ ავალიშვილი. 2 ც.

3. ნ. ავალიშვილის მიერ ჩაწერილი კამერალიის აღწერის სქემა.
1873 წ. ტფილისის გუბერნია. ავტოგრაფი. მელანი. 22 გვ.

4. ნ. ავალიშვილის წისქვილის ნასყიდობის ფურცელი (მასალა დამოწმებულია პავლე და მელიქ კარაკოზოვების ნოტარიუსის ბეჭდით).
1874 წ. 1 მარტი. ხელნაწერი. მელანი. 4 გვ.

5. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ გაცემული ბარათი ნ. ავალიშვილის საწევრო გადასახადის შესახებ.
1880 წ. 20 იანვარი. ბლანკი.ხელით შევსებული. ხელს აწერს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადობის წევრი მაჩაბელი. მელანი. 1 ც.

6. ქართული დრამატული საზოგადოების მიერ გაცემული ბარათი ნ. ავალიშვილის საწევრო გადასახადის შესახებ.
1886 წ. 22 მაისი. ხელით შევსებული. ბლანკიანი ფურცელი. მელანი. 1 ც.

7. გამომცემელთა ამხანაგობის წესდება. შედგენილი ნ. ავალიშვილის მიერ (მინაწერით ირკვევა, რომ 1916 წლის 23 მაისს, ამხანაგობის წესდება, რომელიც მისივე ხელმძღვანელობით 1887 წელს შეიქმნა, სამწუხაროდ ვერ დამტკიცდა, რადგან მასალამ იმპერატორამდე ვერ მიაღწია).
1887 წ. ავტოგრაფი. მელანი. ქართულ და რუსულ ენებზე. 39 გვ.

8. ქართული დრამატული საზოგადოების მიერ გაცემული ბარათი ნ. ავალიშვილის საწევრო გადასახადის შესახებ.
1892 წ. 29 სექტემბერი. ბლანკი. ხელით შევსებული. ხელს აწერს ხაზინადარი თ. ი. ანდრონიკაშვილი. მელანი. 1 ც.

9. თბილისის სასურსათო სამეურნეო ნდობის საზოგადოების წესდება, შედგენილი ნ. ავალიშვილის მიერ.
1894 წ. 28 ნოემბერი. ავტოგრაფი. მელანი. 63 გვ.

10. ქართული დრამატული საზოგადოების მიერ გაცემული ბარათი ნ. ავალიშვილისადმი, საწევრო გადასახადის შესახებ.
1894 წ. ბლანკი. ხელით შევსებული. ხელს აწერს ხაზინადარი პ. ყიფიანი. მელანი.1 ც.

11. ქართული დრამატული საზოგადოების მიერ გაცემული ბარათი ნ. ავალიშვილისადმი, საწევრო გადასახადის შესახებ.
1903 წ. 3 დეკემბერი. ბლანკი. ხელით შევსებული. მელანი. 1 ც.

12. ამხანაგობა „სხივის“ სათანადო ნებართვით ქართული სახალხო და საყმაწვილო წიგნების, მეცნიერების ყველა დარგისა და სიტყვიერების, აგრეთვე სხვა საქმეთა შესახებ გაფორმებული ხელშეკრულება.
ამხანაგობა „სხივის“ წევრები: ნიკოლოზ იაკობის ძე ავალიშვილი, ეკატერინე გრიგოლის ასული მესხი, ანასტასია მიხეილის ასული წერეთელი, ალექსანდრე ივანეს ძე სარაჯიშვილი, სალომე მაღალაშვილი, სეით ლუარსაბის ძე იაშვილი.
1904 წ. 7 ივნისი. ნაბეჭდი. ხელმოწერებით. 3 გვ.

13. ტფილისის ქართული საფილარმონიო საზოგადოების მიერ გაცემული ქვითარი ნ. ავალიშვილისადმი, საწევრო გადასახადის შესახებ
1906 წ. მაისი. ბლანკი. ხელით შევსებული. მელანი. 1 ც.

14. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ გაცემული ქვითარი ნ. ავალიშვილისადმი, საწევრო გადასახადის შესახებ.
1908 წ. 9 მარტი. ბლანკი. ხელით შევსებული. ხელს აწერს მდივანი ვ. ედილაშვილი. მელანი. 1 ც.

15. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მიერ გაცემული ქვითარი ნ. ავალიშვილისადმი, საწევრო გადასახადის შესახებ.
1908 წ. ბლანკი. ხელით შევსებული. ხელს აწერს ხაზინადარი ალ. სარაჯიშვილი. მელანი. 1 ც.

16. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მიერ გაცემული ქვითარი ნ. ავალიშვილისადმი, საწევრო გადასახადის შესახებ.
1910 წ. 13 თებერვალი. ბლანკი. ხელით შევსებული. ხელს აწერს ხაზინადარი ალ. სარაჯიშვილი. მელანი. 1 ც.

17. ნ. ავალიშვილის სამხედრო-საიმპერატორო მსახურების ამსახველი ნუსხა.
1919 წ. 5 ნოემბერი. ნაბეჭდი. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 7 გვ.

18. ნ. ავალიშვილის განცხადება თბილისის ხაზინისადმი მიღებულ პენსიაზე (270 მან.) ქვითრის მიღებასთან დაკავშირებით.
1921 წ. 9 მაისი. თბილისი. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.

19. ნ. ავალიშვილის საკლასო გადასახადის ქვითარი.
1925 წ. 23 ნოემბერი. საგარეჯო. ბლანკი. ხელით შევსებული. ქვითარი დამოწმებულია შემოსავალ-გასავლის ბეჭდით. 1 გვ.

20. ნ. ავალიშვილის „მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ფურცელი“.
1926-1927 წწ. საგარეჯო. ბლანკი. ხელით შევსებული. 2 გვ.

21. ნ. ავალიშვილის „მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი ფურცელი“.
1927-1928 წწ. საგარეჯო. ბლანკი. ხელით შევსებული. 2 გვ.

22. ნ. ავალიშვილის „მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ქვითარი“.
1927-1928 წწ. საგარეჯო. ბლანკი. ხელით შევსებული. ქვითარი დამოწმებულია ტფილისის მაზრის ბეჭდით. 1 გვ.

23. ნ. ავალიშვილის განცხადება პენსიის მიღებასთან დაკავშირებით.
ავტოგრაფი. მელანი. 16 გვ.

24. ქართულ ნდობაზედ დამყარებული ვაჭრობა-კომისიონერობის ამხანაგობის („სავაჭრო სახლი ვასილ ალექსანდრეს ძე სულხანიშვილი და ამხანაგობა“) ხელშეკრულება. პროექტი შედგენილია ნ. ავალიშვილის მიერ.
უთარიღო. ტფილისი. ავტოგრაფი. მელანი. 8 გვ.

25. ნიკოლოზ ავალიშვილის ავტობიოგრაფია.
უთარიღო. ხელნაწერი. მელანი. 8 გვ.

26. 1) ავალიშვილების წისქვილის წარმოების ანგარიში სოფელ საგარეჯოში.
2) ავალიშვილების სამკვიდრო და საკუთარი მამულების ანგარიში სოფელ საგარეჯოში.
3) ავალიშვილების მეურნეობის წარმოების ანგარიში სოფელ საგარეჯოში.
4) შემოსავალ-გასავალი.
უთარიღო. ავტოგრაფი. აკინძული. მელანი. 140 გვ.

27. ქართული ეროვნული სათათბიროს საზოგადოების პროექტი, შედგენილი ნ. ავალიშვილის მიერ.
უთარიღო. ავტოგრაფი. მელანი. რუსულ ენაზე. 22 გვ.

28. ნ.ავალიშვილის მიერ სოფელ წინამძღვრიანთკარში წარმოთქმული სიტყვა ილია წინამძღვრიშვილის სამეურნეო სკოლის იუბილესთან დაკავშირებით, აგრეთვე ილია წინამძღვრიშვილის მიერ გაწეული ღვაწლის შესახებ (1883-1913 წწ.).
უთარიღო. ავტოგრაფი. მელანი. 2 გვ.

29. ნ. ავალიშვილის ბიბლიოთეკის (წიგნსაცავი) კატალოგი, აგრეთვე საყურადღებო ჟურნალების, გაზეთებისა და წიგნების ჩამონათვალი.
უთარიღო. ავტოგრაფი. მელანი (ბოლო 2 გვერდზე მიწერილია აფორიზმები და საყურადღებო აზრები ნიკოლოზ ავალიშვილის მიერ). ქართულ და რუსულ ენებზე. 58 გვ.

30. ნ. ავალიშვილის მიერ ჩაწერილი ქართული თეატრის დამფუძნებელთა და დამხმარეთა ჩამონათვალი.
უთარიღო. ავტოგრაფი. მელანი. 2 გვ.

შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

31. ნიკოლოზ ავალიშვილის მიერ შედგენილი ქართული თეატრის მატიანე.
1791-1866 წწ. ავტოგრაფი. მელანი. დიდი ფორმატის. 1 გვ.

32. ნ. ავალიშვილის ნაშრომი „ქართული თეატრის ისტორიისთვის“.
1867-1881 წწ. ავტოგრაფი. შავი მელანი. რესტავრირებული. აკინძული. 216 გვ.

33. ნ. ავალიშვილის მიერ შედგენილი ქართული თეატრის მატიანე (სქემა).
1867-1881 წწ. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.

34. ნ. ავალიშვილის სტატია „ქართული წარმოდგენა თბილისში და საზოგადო წარმოდგენა“ (ჟურნალი „მნათობი“).
1909 წ. 4 იანვარი. ავტოგრაფი. მელანი. 62 გვ.

35. ნ. ავალიშვილის სტატია „ქართული თეატრის მატიანედან“.
1909 წ. 4 იანვარი. ავტოგრაფი. მელანი. 62 გვ.

36. ნ. ავალიშვილის სტატია „კიდევ ცოტა რამ ქართველების გრიგორიანობაზე“ (დაიბეჭდა გაზეთ „საქართველოში“. 1916 წ. 18 აგვისტო).
1916 წ. 18 აგვისტო. ავტოგრაფი. მელანი. 6 გვ.

37. ნ. ავალიშვილის სტატია „ვისაც აქვნ ყურნი სმენად ისმინოს“ (მასალა დაწერილია ფსევდონიმით „თავისუფალი მეთვალყურე“).
1918 წ. 27 მკათათვე (ივლისი). ავტოგრაფი. მელანი. 2 გვ.

38. ნ. ავალიშვილის სტატიები: 1) „კიდევ ერთი ათასთაგანი“. 2) „აფიცერთა და მოხელეთათვის“ (სტატიები გამოქვეყნდა გაზეთ „საქართველოში“ 1919 წელს, ფსევდონიმებით „თავისუფალი მეთვალყურე“ და „მოამბე“).
1919 წ. ავტოგრაფი. მელანი. 20 გვ.

39. ნ. ავალიშვილის გამოქვეყნებული (გაზეთი „საქართველო“) და გამოუქვეყნებელი სტატიები: 1) „ვისაც აქვს ყურნი სმენად ისმინოს“. 2) „უცნაური ამბავი“. 3) „მართლა თუ?!“ 4) „სხვათა შორის“. 5) „წერილი რედაქტორის მიმართ“. 6) „ქალაქთა კავშირის აღმასრულებელი ბიუროს რედაქციის მიმართ წერილის პასუხად“. 7) „კიდევ ერთი ათასთაგანი“. 8) „ერთი სამისამართო უბნის გაჭირვება“. 9) „ისევ თქმა ჯობს არა თქმასა“. 10) „მსახიობთა დღეს გამოსაცემად გაზეთისათვის“ – „შორი წარსული და აწმყო“.
1919 წ. ავტოგრაფი. რვეული. მელანი. 55 გვ.

40. ნ. ავალიშვილის სტატიები: 1) „სოფელი საგარეჯო“ (დაიბეჭდა „სასოფლო გაზეთში“. 2) „კახეთის რკინიგზა“ (დაიბეჭდა გაზეთ „საქართველოში“ ფსევდონიმით – კახელი მგზავრი. 3) „ივერის ხეობა“ (დაიბეჭდა გაზეთ „საქართველოში“ ფსევდონიმით – გარეკახელი). 4) „მგზავრის წერილები“. 5) „ივერის ხეობა“.
1920 წ. ავტოგრაფი. მელანი. 32 გვ.

41. ნ. ავალიშვილის სტატია „სოფელ საგარეჯოს გაჭირვება“. მოთხრობილია სოფელ საგარეჯოს სარწყავი წყლით მომარაგებასთან დაკავშირებით.
1926 წ. 25 იანვარი. ავტოგრაფი. მელანი. 2 გვ.

42. ნ. ავალიშვილის კვლევა – „კავკასიის სივრცე და მცხოვრებნი“. მასალას ერთვის საქართველოს სტატისტიკის ცენტრალური სამმართველოს ბროშურა, 1926 წლის 17 დეკემბერს აღწერის შედეგად მიღებული მონაცემების შესახებ.
1926-1927 წწ. 17 დეკემბერი-10 თებერვალი. ავტოგრაფი. მელანი. ქართულ და რუსულ ენებზე. 51 გვ.

43. ნ. ავალიშვილის ნაშრომი – „სახალხო განათლება იაპონიაში“.
უთარიღო. ავტოგრაფი. მელანი. 250 გვ.

44. ნ. ავალიშვილის ჩანაწერი – „სამახსოვრო ბარათი, სოფელში შინამრეწველობის გაჩენის შესახებ“, სოფელ საგარეჯოში სელისა და კანაფის მოყვანასთან დაკავშირებით.
პირი: ანა კაპანაძე (1915-1918 წწ.) – სოფელ საგარეჯოში პირველი საფეიქრო სასწავლებლის დამაარსებელი.
უთარიღო. ავტოგრაფი. მელანი. 2 გვ.

45. ნ. ავალიშვილის ჩანაწერი – „მეურნის კორესპონდენცია“, სოფელ საგარეჯოს მიწების დამუშავებასთან დაკავშირებით.
უთარიღო. ავტოგრაფი. მელანი. 2 გვ.

46. ნ. ავალიშვილის ჩანაწერები: „საქონლის ჭირის წამლობა“, „სახელოსნოს წესები“.
უთარიღო. ავტოგრაფი. მელანი. 7 გვ.

47. ნ. ავალიშვილის ჩანაწერები: „ჩემი აფორიზმები“, „სახსოვრად“, „რეცეპტები“.
უთარიღო. ავტოგრაფი. მელანი. 5 გვ.

48. ნ. ავალიშვილის სტატია – „წარსული და აწმყო ცხოვრება რას გვიკარნახებს (სტატია დაიბეჭდა გაზეთ „საქართველოში“. 1919 წ.).
უთარიღო. ავტოგრაფი. მელანი. 7 გვ.

49. ნ. ავალიშვილის სტატია – „მეორე წერილი საქართველოზედ“.
უთარიღო. ავტოგრაფი. მელანი. არასრული. ჩასწორებებით. 11 გვ.

50. ნ. ავალიშვილის ჩანაწერი – „1913 წლის 29-30 და 31 მარიამობისთვის სამეურნეო კრებებისთვის საგარეჯოში“.
უთარიღო. ავტოგრაფი. მელანი. 2 გვ.

51. ნ. ავალიშვილის ჩანაწერი – „ჰენრიხ სენკევიჩი და მისი მწერლობა“.
უთარიღო. ავტოგრაფი. მელანი. 3 გვ.

52. ნ. ავალიშვილის სხვადასხვა სახის ჩანაწერი.
1) საჭირო ამხანაგობა (ქალთა შორის ხელთამპყრობი ამხანაგობა). 2) ვეგეტარიანების შესახებ ცნობა. 3) ქართული თეატრის შესახებ ცნობა. 4) Индеиская легенда о созданий женщин. 5) გამოსადეგი ცოდნა. 6) კარაქის შენახვა. 7) ხორცის შენახვა. 8) კარგი ფქვილის შეტყობა. 9) კარგი ვერცხლის გამოცნობა. 10) ზაფის სიმაგრისთვის. 11) ხილის მარინადები. 12) სახამებლის მომზადება. 13) ბრილიანტის გაწმენდა. 14) შინა მწერების წამალი. 15) კბილის ტკივილის წამალი. 16) სასმლისგან გაოგნებულის წამალი. 17) სპილოს ძვლის გათეთრება. 18) ჭრილობიდან სისხლის შეწყვეტა. 19) ნაყოფის ადრე დამწიფებისთვის. 20) ვაშლის შენახვა. 21) საზრდოობა და ხასიათი. 22) მთვრალისთვის ჩქარა გამოსაფხიზლებელი წამალი. 23) ვაზის ნაცრის წამლობა. 24) ვაზის ობის წამლობა. 25) დამტვრეული ჭურჭლის ნებო. 26) ჩემი წისქვილის ნაწილების ზომა. 27) 1836 წლის ცნობით მცხოვრებთა სია. 28) წავსულვარ და მოვსულვარ. 29) ჩემი ბიოგრაფიისთვის. 30) ცნობები ცხოვრებიდან. 31) ზომისა და წონის შედარებითი ტაბულა. 32) შესანიშნავი ამბები. 33) ქართული ლაპარაკის დამახინჯება.
უთარიღო. რვეული. ავტოგრაფი. მელანი. 47 გვ.

53. ნ. ავალიშვილის სხვადასხვა სახის ჩანაწერი.
1) ნიშნების ახსნა. 2) რიცხვისა და დღის მოსანახი ცხრილი. 3) ახალი და ძველი სტილის წლის აღრიცხვა (ნაკიანი და უნაკო წელიწადი). 4) ქართული ქორონიკონი. 5) სომხური ქორონიკონი. 6) მთვარის ანგარიში. 7) წმინდანთა მოსახსენიებელი კალენდარი. 8) მარხვანი და ხორციელნი. 9) მოძრავი დღესასწაულები. 10) უქმე დღეები. 11) რუსეთის საიმპერატორო ოჯახი. 12) „ფოჩტა“. 13) ფოჩტით მისვლა-მოსვლა. 14) ფოთი-თბილისის რკინის გზა. 15) ფოთი-თბილისის რკინის გზის მისვლა-მოსვლა. 16) ტელეგრაფი. 17) ნოტარიუსების დასაჩუქრება. 18) სასამართლოს ბოქაულის დასაჩუქრება. 19) ვექილების (ადვოკატების) დასაჩუქრება. 20) ღერბის ქაღალდის ფასი. 21) ვაჭრობის წესი. 22) საადგილმამულო ბანკის წესებიდან. 23) სამშობიარო საავადმყოფო. 24) კავკასიის საბებიო ინსტიტუტი. 25) სამოქალაქო თბილისის სამკურნალო. 26) წვრილმანი ცნობები, რიცხვი ნიშნები. 27) ქართული ფულის ანგარიშის ნიშნები. 28) წონა, საწყაო და ზომა საქართველოში ხმარებული. 29) ჩვენ საზოგადო ვაჭრობაში მიღებული წონა, საწყაო და ზომა. 30) ოთხკუთხა კვადრატული ზომა. 31) კუბიკური ზომა. 32) ფულის ანგარიში. 33) დრო. 34) უცხო ქვეყნის ფული. 35) ჩვენი იარმარკები. 36) ქართული გამოცემანი. 37) სასოფლო (შ)კოლები. 38) გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობანი. 39) ქართული გამოცემანი დროგამოშვებით. 40) სომხური დროგამოშვებითი გამოცემანი. 41) ჩვენი იარმარკები. 42) ვარსკვლავთმრიცხველი, ცნობარი. 43) მზისა და მთვარის დაბნელება. 44) ჰაერის სითბო. 45) მზის ამოსვლა და ჩასვლა. 46) შესანიშნავი მოვლენები კაცობრიობის ისტორიაში. 47) შესანიშნავი მოვლენები საქართველოს ისტორიაში. 48) შესანიშნავი მოვლენები სომხეთის ისტორიაში. 49) შესანიშნავი აღმოჩენები. 50) ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში. 51) გრიგორიანობის გავრცელება სომხეთში.
უთარიღო. რვეული. ავტოგრაფი. მელანი. 96 გვ.

54. ნ. ავალიშვილის ნაშრომი – „რუსეთ-იაპონიის ომი“.
უთარიღო. ავტოგრაფი. მელანი. 70 გვ.

55. ნ. ავალიშვილის ნათარგმნი პიესების სია.
უთარიღო. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.

56. ნ. ავალიშვილის მიერ შედგენილი ქართული თეატრის მატიანე.
უთარიღო. ავტოგრაფი. მელანი. დიდი ფორმატის. ჩარჩოში ჩასმული. 1 გვ.

57. ნ. ავალიშვილის მიერ შედგენილი ქართული თეატრის მატიანე.
უთარიღო. ავტოგრაფი. მელანი. ფანქარი. პატარა ფორმატის. ჩარჩოში ჩასმული. 1 გვ.

58. ნ. ავალიშვილის ჩანაწერი საქართველოში პირველი დაწყებითი „შკოლების“ განვითარებისა და სხვადასხვა გასათვალისწინებელი აუცილებლობაბის შესახებ.
უთარიღო. ავტოგრაფი. მელანი. 18 გვ.

59. ნ. ავალიშვილის ჩანაწერი სარწმუნოებასთან დაკავშირებით.
უთარიღო. ავტოგრაფი. მელანი. არასრული. 2 გვ.

60. ნ. ავალიშვილის ჩანაწერი „პატარა შენიშვნა“ სახელმწიფოს მიერ სამხედრო საქმის გაძღოლასთან დაკავშირებით.
უთარიღო. ავტოგრაფი. მელანი. 2 გვ.

61. ნ. ავალიშვილის ჩანაწერი სპარსეთში ხალიჩის ქსოვისა და კერვის შესახებ.
უთარიღო. ავტოგრაფი. მელანი. ქართულ და რუსულ ენებზე. 2 გვ.

62. ნ. ავალიშვილის სხვადასხვა სახის ჩანაწერი მინიშნებებით: „აფორიზმად გამოსადეგი“, „ქილილა და დამანა“ (გრამატიკა), „დავითნის გრამატიკა“, „თემის გრამატიკა“, „წყობილ სიტყვათა გრამატიკა“, „ძველი ასოები“.
უთარიღო. ავტოგრაფი. მელანი. წითელი და ლურჯი ფანქარი. 2 გვ.

63. ნ. ავალიშვილის ჩანაწერები პედაგოგიკისა და განათლების სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ.
უთარიღო. 2 რვეული. ავტოგრაფი. ფანქარი. ქართულ და რუსულ ენებზე. 35 გვ.

64. ნ. ავალიშვილის ჩანაწერები: 1) „ხორბლის მოყვანის ტექნოლოგია“. 2) „ჩემი ნაწერები 1864-1876 წწ.“. 3) გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნებული სტატიები. 4) საქართველოს ტერიტორიაზე 1836 წლის ცნობით სხვადასხვა ერის მცხოვრებთა რაოდენობა (ჩამონათვალი). 5) „სამეურნეო ანდაზები“.
უთარიღო. ავტოგრაფი. მელანი. აკინძული. ქართულ და რუსულ ენებზე. 9 გვ.

65. ნ. ავალიშვილის სტატია „პატარა შენიშვნა“, ქართული სააქციო საზოგადოებისა და ქართული ბანკის ხელშეწყობით, ეკატერინე სარაჯიშვილის (დავით სარაჯიშვილის მეუღლის) ქარხნების შენარჩუნებასთან დაკავშირებით (სტატია გამოქვეყნდა გაზეთ „საქართველოში“ 1916 წლის 19 აგვისტოს).
უთარიღო. ავტოგრაფი. მელანი. 2 გვ.

66. ნ. ავალიშვილის სტატია „ისევ და ისევ დამოუკიდებელი საქართველოს მასალა გაქართულებაზედ“ (სტატია გამოქვეყნდა გაზეთში „საქართველო“).
უთარიღო. ავტოგრაფი. მელანი (არასრული). 2 გვ.

67. ნ. ავალიშვილის სტატია „გარე კახეთი“.
უთარიღო. ავტოგრაფი. მელანი. 8 გვ.

68. ნ. ავალიშვილის ჩანაწერი საქართველოში ხელოსნობის, მეურნეობისა და სხვა დარგების განვითარებასთან დაკავშირებით.
უთარიღო. ავტოგრაფი. მელანი. 2 გვ.

69. ნ. ავალიშვილის ნაშრომთა სია.
უთარიღო. ავტოგრაფი. მელანი. 2 გვ.

70. ნ. ავალიშვილის სტატია თეატრალური მუზეუმის შექმნის აუცილებლობის შესახებ.
უთარიღო. ავტოგრაფი. მელანი. 2 გვ.

71. ნ. ავალიშვილის სტატია ტყეების სწორად მოხმარების შესახებ.
უთარიღო. ავტოგრაფი. მელანი. 2 გვ.

72. ნ. ავალიშვილის ჩანაწერი სოფლის მეურნეობის შესახებ, კერძოდ სამი აუცილებელი და მსუბუქი მეურნეობის – მეფუტკრეობის, აბრეშუმის ჭიისა და შინაური ფრინველის მოვლა-მოშენებასთან დაკავშირებით.
უთარიღო. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.

73. ნ. ავალიშვილის ჩანაწერი – „ჩერქეზული გარდმოცემა სამშობლოსთვის“ (ასახულია მეფე ვახტანგ გორგასლის მოღვაწეობის პერიოდი, როდესაც შენდებოდა სურამის ციხე).
უთარიღო. ავტოგრაფი. მელანი. 17 გვ.

74. ნ. ავალიშვილის რჩევები: 1) პარკეტის მოვლა. 2) ტყავგადაკრული დაწნული ავეჯის მოვლა. 3) ხალიჩებისა და ფარდაგების მოვლა. 4) თაიგულის შენახვა. 5) სახლის ავეჯის მოვლა. 6) მარმარილოს გაწმენდა. 7) შპალერის გაწმენდა. 8) ზამშის გარეცხვა. 9) სხვადასხვა ლითონის გაწმენდა. 10) ძვირფასი თვლების მოვლა. 11) სუფრის დანების წმენდა და შენახვა. 12) კლიონკის სუფრები (ლინოლიუმი). 13) ჭიანჭველების გასაძევებელი წამალი. 14) თეთრეულიდან ხილის ლაქის გამოყვანა. 15) გაყვითლებული თეთრეულის გათეთრება. 16) დასველებული წაღების საჩქაროდ გაშრობა. 17) ზეთიანი წამლებით დახატული (იგულისხმება ნახატები) სურათების გაწმენდა. 18) შუშის მოვლა. 19) ვარაყიანი ჩარჩოების წმენდა. 20) ოქროთი დავარაყებული ბრინჯაოს წმენდა.
უთარიღო. ავტოგრაფი. მელანი. 10 გვ.

75. ნ. ავალიშვილის ჩანაწერი – „საქართველო XVIII საუკუნეში“.
უთარიღო. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.

76. ნ. ავალიშვილის ჩანაწერი – „1844 წლის კალენდრისთვის“.
უთარიღო. ავტოგრაფი. მელანი. 3 გვ.

77. ნ. ავალიშვილის ჩანაწერი „ველურების სახელმწიფო“ (ლეგენდის სახით მოთხრობილი ამბავი).
უთარიღო. ავტოგრაფი. მელანი. 15 გვ.

78. ნ. ავალიშვილის მიერ ჩახაზული კევრის (ხორბლეულის სალეწი იარაღის) მამოძრავებელი მანქანა.
უთარიღო. ნახაზი. ფანქარი. 1 გვ.

79. ნ. ავალიშვილის მიერ ჩაწერილი უცხო სიტყვების ახსნა მოთხრობაში „ვიდრე ჰხვალ, უფალო“.
უთარიღო. ავტოგრაფი. მელანი. 24 გვ.

80. ნიკოლოზ ავალიშვილის მიერ „დონ-კიხოტ ლამანჩელიდან“ ამოწერილი უცხო სიტყვების ჩამონათვალი.
უთარიღო. ავტოგრაფი. მელანი. 2 გვ.

81. დონ-კიხოტის, სანჩო პანსასა და დულსინეას სონეტები, ამოწერილი ნიკოლოზ ავალიშვილის მიერ.
უთარიღო. ავტოგრაფი. მელანი. 8 გვ.

82. პიესაში „ვიდრე ჰხვალ, უფალო“ არსებული ასახსნელი სიტყვების თარგმანი.
უთარიღო. ავტოგრაფი. მელანი. 4 გვ.

83. ნ. ავალიშვილის წერილებისა და ასევე გაზეთებში მასზე გამოქვეყნებული სტატიების ჩამონათვალი.
უთარიღო. ხელნაწერი. მელანი. 2 გვ.

ნიკოლოზ ავალიშვილის მიერ ნათარგმნი ნაწარმოებები

84. კომედია „ღარიბი სარძლო“ (ალექსანდრ ოსტროვსკი).
1887 წ. თბილისი. ავტოგრაფი. მელანი. 182 გვ.

85. პიესა „მარიამ სტიუარდი“ (ფრიდრიხ შილერი).
1918 წ. ავტოგრაფი. ჩასწორებებით. არასრული. შავი და წითელი მელანი. 242 გვ.

86. დრამატული პოემა „ორლეანელი ქალწული“. „ჟანა დ’არკი“ (ფ. შილერი).
1925-1926 წ. საგარეჯო, თბილისი. ავტოგრაფი. მელანი. 182 გვ.

87. თხზულება „დონ-კიხოტ ლამანჩელი“ (სერვანტესი). მეორე წიგნი. სამუშაო ვარიანტი.
1926 წ. თბილისი. ავტოგრაფი. ლურჯი, შავი და წითელი მელანი. ჩასწორებებით (არასრული). 758 გვ.

88. ტრაგიკული პიესა „ყაჩაღები“ (ფ. შილერი).
1926 წ. ავტოგრაფი. ავტორისეული ჩასწორებებით. მელანი.184 გვ.

89. ტრაგიკული პიესა „ყაჩაღები“ (ფ. შილერი).
უთარიღო. ავტოგრაფი. მელანი. 299 გვ.

90. თხზულება „დონ-კიხოტ ლამანჩელი“ (სერვანტესი). წიგნი პირველი.
უთარიღო. მოსკოვი, თბილისი, კრასნოდარი. ავტოგრაფი. ჩასწორებებით. აკლია შუა გვერდები და დაბოლოება. მელანი. 321 გვ.

91. პიესა „ვიდრე ჰხვალ, უფალო“ (რომანი ნერონის დროიდან. სენკევიჩის პიესის მიხედვით).
უთარიღო. ავტოგრაფი. არასრული. ავტორისეული ჩასწორებებით. წითელი და ლურჯი მელანი. 453 გვ.

ნიკოლოზ ავალიშვილის მოგონებები

92. ნ. ავალიშვილის მოგონება დიმიტრი ყიფიანის გარდაცვალებასთან დაკავშირებით.
პირი: გენერალი იაკოვსკი-დუნდუკოვი, ვალერიან გუნია, ალექსანდრე ეპისკოპოსი.
1922 წ. 14 ნოემბერი. თბილისი. ავტოგრაფი. მელანი. 2 გვ.

93. ნ. ავალიშვილის მოგონება „სპარსეთში ნახული და გაგონილი“.
1924 წ. ნაბეჭდი. ტფილისი. 35 გვ.

94. ნ. ავალიშვილის მოგონება „ჩემი თავგადასავალი და განცდანი”.
1924 წ. საგარეჯო. ავტოგრაფი. მელანი. 151 გვ.

95. ნ. ავალიშვილის მოგონებები: 1) „ახალთექე და მარათექე“. 2) „სპარსეთი“. 3) „იაპონია და იაპონელები“. 4) „მანჯურია და ჩინეთი“. 5) „პეკინი“. 6) „ჩინეთი გველეშაპი (დრაკონი)“. 7) „ჩინეთის სარწმუნოება“.
უთარიღო. ავტოგრაფი. შავი, ლურჯი და წითელი მელანი. ფანქარი. ქართულ და რუსულ ენებზე. 370 გვ.

ეპისტოლარული მემკვიდრეობა

ნიკოლოზ ავალიშვილის წერილები

96. ნიკოლოზ ავალიშვილის კრიტიკული წერილი რედაქტორისადმი ვენახის მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებით.
1846 წ. ავტოგრაფი. მელანი. 4 გვ.

97. ნ. ავალიშვილის წერილი გაზეთ „დროების“ რედაქტორისადმი მღვდლების შესახებ, აგრეთვე გლეხების მიერ ვაჭრობის გამართვასთან დაკავშირებით (წერილი დაიბეჭდა ნიკოლოზ ავალიშვილის ფსევდონიმით „ივერიელი გლეხი ნინია“).
1877 წ. იანვარი. ავტოგრაფი. მელანი. 4 გვ.

98. ნ. ავალიშვილის წერილი გაზეთ „შრომის“ რედაქტორისადმი ჩინეთის აღმოსავლეთ პროვინციასა და თავად ჩინელი ხალხის შესახებ.
1906 წ. 10 მაისი. თბილისი. ავტოგრაფი. მელანი. 4 გვ.

99. ნ. ავალიშვილის წერილი გაზეთ „დროების“ რედაქტორისადმი ეკატერინე გაბაშვილის ირგვლივ გამოქვეყნებულ სტატიაში შეცდომით დაბეჭდილი მასალის შესახებ, სადაც ჟურნალ „მნათობის“ რედაქტორად მოხსენიებულია ნ. ინაშვილი და არა ნიკოლოზ ავალიშვილი.
1909 წ. 15 მარტი. თბილისი. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.

100. ნ. ავალიშვილსა და ალ. ლეჟავას შორის მიმოწერა, სოფელ საგარეჯოს სამკითხველო დარბაზის გახსნასთან დაკავშირებით. 1) სოფელ საგარეჯოს წიგნთსაცავ სამკითხველოზე მიმოწერა. 2) სოფელ საგარეჯოს წიგნთსაცავ სამკითხველოს წესები (აკინძული).
პირი: ალ. ლეჟავა.
1914 წ. 5, 12 იანვარი; 5,8,9,10,25 თებერვალი; 18 მარტი. ხელნაწერი. მელანი. 21 გვ.

101. ნ. ავალიშვილის წერილი „სახალხო გაზეთის“ რედაქციისადმი, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისადმი შუამდგომლობით, სოფელ საგარეჯოში ილია წინამძღვრიშვილის სახელობის წიგნთსაცავის გახსნასთან დაკავშირებით თხოვნა „განათლება-განვითარების მოტრფიალეთა საყურადღებოდ, ასევე წიგნების მაღაზიებისა და გამომცემლობებისადმი, „გონების განმანათლებელი“ საგნით დახმარების შესახებ.
პირი: ი. მერკვილაძე, ალ. ჯაბადარი, ივ. ავალიშვილი, ვ. ბურჯანაძე.
1914 წ. 15 მარტი. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.

102. ნ. ავალიშვილის კრიტიკული წერილი პანთენ გოთუასადმი, საქართველოს ბანკის ხელმძღვანელად არა რუსის ან სომეხის, არამედ ქართველის სათავეში ჩაყენებასთან დაკავშირებით.
პირი: ბებობრაზოვი.
1914 წ. 1,2 მაისი. ავტოგრაფი. მელანი. 2 გვ.

103. ნ. ავალიშვილის კრიტიკული წერილი ტყის სწორად მოვლასთან დაკავშირებით (წერილი გამოქვეყნდა ნიკოლოზ ავალიშვილის ფსევდონიმით „მგზავრი“).
1926 წ. 25 იანვარი. ავტოგრაფი. მელანი. 10 გვ.

104. ნ. ავალიშვილის წერილი იოსებ იმედაშვილისადმი ტფილისში, კვირაცხოვლობის ტაძრის შემოგარენში (შემდგომ არსენალის შენობა), ხარფუხ-ავლაბარში, კლდის უბან-ჩუღურეთში, გარეუბნებში – კუკია, ვერა და დიდუბის შუა მხარეში 1855-1860 წლებში კრივში შეჯიბრების გამართვასთან დაკავშირებით.
პირი: გიორგი ნადირაძე (კანტორის მოხელე), ციციანოვი, ბებუთოვი, დათიკო ბებუთოვი, არჩილ მუხრან-ბატონი, ლოპიანა, გიგია, ღორკოლა (გვარები მითითებული არ არის), გრიგოლ ორბელიანი (იმ დროს მთავარმართებლის თანამდებობას ასრულებდა).
1927 წ. 23 ოქტომბერი. საგარეჯო. ავტოგრაფი. მელანი. 4 გვ.

105. ნ. ავალიშვილის მიმართვა-წერილი სახელმწიფო გამომცემლობის გამგეობისადმი, 1862 წელს მის მიერ ნათარგმნი სერვანტესის „დონ-კიხოტ ლამანჩელის“ პირველი ნაწილის სახელმწიფო ხარჯებით გამოცემასთან დაკავშირებით.
1928 წ. 24 ივლისი. ავტოგრაფი.(მეორე გვერდზე მითითებულია ნიკოლოზ ავალიშვილის მიერ ნათარგმნი პიესების ჩამონათვალი). მელანი. 2 გვ.

106. ნ. ავალიშვილის წერილი იუსტინესადმი (გვარი მითითებული არ არის) ქართულ-რუსული ლექსიკონის გამოცემის შესახებ.
პირი: ჩუბინაშვილი, მაკაროვი.
1928 წ. საგარეჯო. ავტოგრაფი. მელანი. 3 გვ.

107. ნ. ავალიშვილის წერილი პოეტ მარიჯანისადმი ლექსების თარგმნასთან დაკავშირებით (მარიჯანი – მარიამ ტყემალაძე-ალექსიძე. 1890-1978 წწ.).
1929 წ. 31 მარტი. საგარეჯო. ავტოგრაფი. წერილის მეორე გვერდზე მიწერილია პოეტ მარიჯანის მისამართი. მელანი. 2 გვ.

108. ნ. ავალიშვილის კრიტიკული წერილი „ჩვენი ჭირ-ვარამი“, სოფელ საგარეჯოს უფროსობისადმი, ტყის გაკაფვის შედეგად შექმნილ პრობლემებთან დაკავშირებით. წერილი დაწერილია ფსევდონიმით – „ვინც გინდა ვიყო“.
უთარიღო. ავტოგრაფი. მელანი. 7 გვ.

109. ნ. ავალიშვილის წერილი ფილიპე მახარაძისადმი. მწუხარებას გამოთქვამს სოფელ საგარეჯოში, მის მამულში წისქვილის დაბეგვრასთან დაკავშირებით.
უთარიღო. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.

110. ნ. ავალიშვილის კრიტიკული წერილი თბილისის მაზრის ერობისადმი სოფლად წისქვილის წარმოების შემთხვევაში ბეგარის გადახდის შესახებ.
უთარიღო. ავტოგრაფი. ბოლო გვერდზე ნ. ავალიშვილის ჩანაწერი მგზავრობასთან დაკავშირებით – „მგზავრის წერილები“. არასრული. მელანი. 4 გვ.

111. ნ. ავალიშვილის ოფიციალური წერილი მისი ღვაწლის შესახებ სრულიად საქართველოს რესპუბ-ლიკის განათლების კომისარ დავით კანდელაკისადმი პენსიის დანიშვნასთან დაკავშირებით (ბოლო გვერდზე მითითებულია ქართველ მოღვაწეთა გვარები).
წ. (?). 4 ივნისი. ავტოგრაფი. მელანი. 17 გვ.

112. ნ. ავალიშვილის წერილი იოსებ იმედაშვილისადმი წიგნში გამოსაქვეყნებლად ავტობიოგრაფიული მასალის მიწოდების შესახებ.
წ. (?). 10 ოქტომბერი. ავტოგრაფი. მელანი. 2 გვ.

წერილები ნიკოლოზ ავალიშვილისადმი

113. ჟურნალ „მნათობის“ რედაქტორის ალექსანდრე ჭყონიასა და გამომცემელ ნიკოლოზ ღოღობერიძის ოფიციალური წერილი ნიკოლოზ ავალიშვილისადმი ურთიერთთანამშრომლობასთან დაკავშირებით.
1893 წ. 31 აგვისტო. ნაბეჭდი. ხელნაწერი. მელანი. 1 გვ.

114. უცნობი პირის ოფიციალური წერილი ნიკოლოზ ავალიშვილისადმი პარიზის ქართველ მემამულეთა კომიტეტის მიერ გამართულ კრებაზე, რომელიც ეხება პარიზის საერთაშორისო გამოფენის თემას, აუცილებლად დასწრებასთან დაკავშირებით (კრება გაიმართა თავად-აზნაურთა ბანკის დარბაზში).
1899 წ. 28,30 დეკემბერი. ბლანკი. ხელნაწერი. მელანი. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 გვ.

115. ქართველთა სააღებმიცემო ამხანაგობის „შუამავლის“ გამგეობის წერილი ნიკოლოზ ავალიშვილისადმი სხდომაზე დასწრებასთან დაკავშირებით.
1900 წ. 16 დეკემბერი. ბლანკი. ხელნაწერი. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 გვ.

116. კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წერილი ნიკოლოზ ავალიშვილისადმი სხდომაზე დასწრებასთან დაკავშირებით.
1909 წ. 25 თებერვალი. თბილისი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

117. ლეონილა სავიჩის წერილი ნიკოლოზ ავალიშვილისადმი თავისი ბიძის ივანე სპირიდონის ძე ჯაბადარის მემკვიდრეობის მიღებასთან დაკავშირებით (ერთვის იგივე წერილი, ნიკოლოზ ავალიშვილის მიერ გადაწერილი).
1922 წ. 30 ივლისი. ხელნაწერი. წითელი და ლურჯი მელანი. წერილი დამოწმებულია სოფელ საგარეჯოს მილიციის ბეჭდით. 2 გვ.

118. ზაქარია ჭიჭინაძის წერილი ნიკოლოზ ავალიშვილისადმი, ქართულ ჟურნალ-გაზეთებში მისი წერი-ლების დაბეჭდვასთან დაკავშირებით.
1923 წ. 4 დეკემბერი. ტფილისი. ავტოგრაფი. მწვანე მელანი. 1 გვ.

119. იოსებ იმედაშვილის წერილი ნიკოლოზ ავალიშვილისადმი წიგნის გამოშვებასთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდების შესახებ.
პირი: შ. დადიანი, ს. მჭედლიშვილი (სტამბის გამგე).
1927 წ. 29 ივლისი. ავტოგრაფი. მელანი. 4 გვ.

120. იოსებ იმედაშვილის წერილი ნიკოლოზ ავალიშვილისადმი, საქართველოს ისტორიის, ტაძრებისა და ნატაძრალის შესახებ (ნახსენებია რაჭაში, სოფელ ზიარეთში არსებული ნატაძრალი, რომელიც სავა-რაუდოდ, XIII-XIV საუკუნეებს მიეკუთვნება, აგრეთვე ხაშმი და დავითგარეჯი).
პირი: ლევანი (გვარი მითითებული არ არის), აბაშიძე (ნათლისმცემლის ტაძრის ბერი), ერემია გუ-ლისაშვილი.
1927 წ. 5 ნოემბერი. ავტოგრაფი. მელანი. 4 გვ.

121. იოსებ იმედაშვილის წერილი ნიკოლოზ ავალიშვილისადმი საქართველოს კუთხეების (ჯავახეთი, რაჭა, კახეთი) ირგვლივ წიგნის გამოცემის შესახებ, ნიკოლოზ ავალიშვილის მიერ დახმარების გაწევასთან დაკავშირებით.
პირი: დადიანი [შალვა], კანდელაკი, პლატონ იოსელიანი.
1927 წ. 13 ნოემბერი. ავტოგრაფი. მელანი. 4 გვ.

122. ვანო გუდიაშვილის წერილი ნიკოლოზ ავალიშვილისადმი, თეატრალური მუზეუმის დამაარსებელ დავით არსენიშვილისადმი საინტერესო მასალის გადაცემასთან დაკავშირებით.
1927 წ. 20 ნოემბერი. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.

123. იოსებ გრიშაშვილის წერილი ნიკოლოზ ავალიშვილისადმი, ქალაქის ხალხურ მწერლებზე, ყარაჩოღელებსა და აშუღებზე, აგრეთვე ყეენობასა და კრივზე, განსაკუთრებით ფალავან-მოკრივეების ირგვლივ მასალის მიწოდების შესახებ.
პირი: გრიგოლ ორბელიანის ფალავანი – ლოპიანა, არჩილ მუხრან-ბატონი, მთავარმართებელი ციციანოვი, დავით იოსეფის (იოსების) ძე ბებუთოვი.
1927 წ. 20 ნოემბერი. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.

124. იოსებ იმედაშვილის წერილი ნიკოლოზ ავალიშვილისადმი წიგნის გამოსაცემად, შესწავლის მიზნით, საქართველოს კუთხეების (იმერეთი, გელათის მიდამოები, რაჭა-ლეჩხუმი) მონახულებასთან დაკავშირებით.
პირი: ლევანი (გვარი მითითებული არ არის), აბაშიძე (ნათლისმცემლის ტაძრის ბერი), ერემია [გულისაშვილი], შალვა დადიანი.
1928 წ. 21 ივლისი. ავტოგრაფი. მელანი. 4 გვ.

125. იოსებ გრიშაშვილის წერილი ნიკოლოზ ავალიშვილისადმი, ქართველ რეჟისორებზე წიგნის დასაწერად, ბიოგრაფიული მასალის მიწოდების შესახებ.
პირი: გიორგი თუმანიშვილი, დავით ერისთავი, მიხეილ ბებუთოვი, ყიფიანი, ვ. სულხანიშვილი, ვასილ თუმანიშვილი, აკაკი წერეთელი.
1928 წ. 14 დეკემბერი. ავტოგრაფი. მელანი. 1 ც.

126. სოფელ საგარეჯოს კბილის ექიმის მიხეილის (გვარი მითითებული არ არის) მოკითხვის წერილი ნ. ავალიშვილისადმი. წერილს ერთვის ლექსი მიძღვნილი ნ. ავალიშვილისადმი.
1929 წ. 18 ივნისი. საგარეჯო. ხელნაწერი. ფანქარი. 4 გვ.

127. ნიკოლოზ ავალიშვილის ვაჟიშვილის წერილი მამისადმი მის მიერ ლექსების თარგმნასთან დაკავშირებით.
პირი: მწერალი ნიკო კურდღელაშვილი, პოეტესა ბაბილინა (ნიკო კურდღელაშვილის მეუღლე და ეროდიონ ევდოშვილის და).
წ. (?). 4 ოქტომბერი. ხელნაწერი. მელანი. 1 გვ.

მასალები ნიკოლოზ ავალიშვილის ავადმყოფობასა და გარდაცვალებასთან დაკავშირებით

128. ქრონიკა ნიკოლოზ ავალიშვილის ავადმყოფობასთან დაკავშირებით (გამოქვეყნდა გაზეთ „ხელოვნებაში“ 1926 წლის 28 ნოემბერს).
1926 წ. 28 ნოემბერი. ხელნაწერი. მელანი. 1 გვ.

129. ქრონიკა ნ. ავალიშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით (გამოქვეყნდა გაზეთ „კომუნისტში“ 1929 წლის 17 სექტემბერს).
1929 წ. 17 სექტემბერი. ხელნაწერი. მელანი. 1 გვ.

130. იოსებ გრიშაშვილის სტატია „ნიკოლოზ ავალიშვილი 1844-1919“ (გამოქვეყნდა გაზეთ „კომუნისტში“ 1929 წლის 22 სექტემბერს. №14).
1929 წ. 22 სექტემბერი. ნაბეჭდი. 2 გვ.

131. უცნობი ავტორის სტატია „ნიკოლოზ იაკობის ძე ავალიშვილი“ (გამოქვეყნდა გაზეთ „კომუნისტში“ 1929 წლის 22 სექტემბერს).
1929 წ. 22 სექტემბერი. ნაბეჭდი. 2 ეგზ. 1 გვ.

132. იოსებ იმედაშვილი სტატია „ნიკოლოზ ავალიშვილი“ (სტატია დაიბეჭდა საგარეჯოს გაზეთ „სტალინურ სიტყვაში“, რუბრიკით „რაიონის შესანიშნავი ადამიანები“, 1947 წ. 14 ივნისი. №47).
თბილისი. 1947 წ. 22 აპრილი. ხელნაწერი. მელანი. 3 გვ.

133. სარგის ცაიშვილის სტატია ნიკოლოზ ავალიშვილის გარდაცვალებიდან 25 წლისთავთან დაკავშირებით (გამოქვეყნდა „ლიტერატურულ გაზეთში“ 1954 წლ ის 17 სექტემბერს. №38).
1954 წ. 17 სექტემბერი. ნაბეჭდი. 3 გვ.

134. ა. ელერდაშვილის სტატია ნიკოლოზ ავალიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ (გამოქვეყნდა საგარეჯოს გაზეთში „სტალინური სიტყვა“ 1955 წლის 7 ნოემბერს. №132).
უთარიღო. ხელნაწერი. მელანი. 2 გვ.

ნიკოლოზ ავალიშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებული დეპეშები

135. საგარეჯოს რაიპოლიტგამისა და თეატრის გამგეობის სამძიმრის დეპეშა.
1929 წ. საგარეჯო. ხელნაწერი. ფანქარი. 1 ც.

136. საგარეჯოს კბილის ექიმ მ. დიდიძის სამძიმრის დეპეშა.
1929 წ. საგარეჯო. ხელნაწერი. ფანქარი. 1 ც.

137. სოფელ საგარეჯოს თეატრის სცენის მუშების საშა ბურთიკაშვილის, კოლა ქურდოვანიძის, ერემია ღლონტისა და სოლომონ გულისაშვილის სამძიმრის დეპეშა.
1929 წ. საგარეჯო. ხელნაწერი. ფანქარი. 1 ც.

138. გენადის, ბიკენტისა და ვალოდიას (გვარები მითითებული არ არის) სამძიმრის დეპეშა.
1929 წ. ჭიათურა. ხელნაწერი. ფანქარი. 1 ც.

139. ნინა ღუდუშაურისა და კოლა ხარტიკაშვილის სამძიმრის დეპეშა.
1929 წ. ფასანაური. ხელნაწერი. ფანქარი. 1 ც.

140. მატრონას (გვარი მითითებული არ არის) სამძიმრის დეპეშა.
1929 წ. ლანჩხუთი. ნაბეჭდი. 1 ც.

141. ვასოს (გვარი მითითებული არ არის) სამძიმრის დეპეშა.
1929 წ. წყალტუბო. ნაბეჭდი. 1 ც.

142. კატუშას (ნიკოლოზ ავალიშვილის ქალიშვილი) სამძიმრის დეპეშა.
1929 წ. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ც.

143. ანტონ მგალობლიშვილის სამძიმრის დეპეშა.
1929 წ. ჩოხატაური. ხელნაწერი. ფანქარი. 1 ც.

სხვადასხვა

144. საქართველო. იმერეთის სინოდის კანტორის მიერ გაცემული მოწმობა თებრონია სპირიდონის ასულ ჯაბადარის 1854 წლის 4 ივნისს გამართული საიდუმლო ნათლობის შესახებ.
პირი: მამა – სპირიდონ ივანეს ძე ჯაბადარი, დედა – მინადორა სოლომონოვა, მემამულე – მიხეილ ივანეს ძე ზაედალოვი, მღვდელი – იოსებ ნამორაძე.
1875 წ. 25 სექტემბერი. ხელნაწერი. მასალა დამოწმებულია რუსეთის იმპერიის ბეჭდით ორთავიანი არწივის გამოსახულებით. მელანი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

145. ტფილისის ამხანაგობის წესდება.
1886-87 წწ. 5 მარტი. ხელნაწერი. ხელს აწერენ: სიმონ ტეფნაძე, მიხელ ქართველოვი, ვასილ რცხილაძე, ანდრეი ივანეს ძე კაპანაძე, დავით ქართველიშვილი, გრიგოლ ყიფიანი, პ. მირიანაშვილი, ვარვარა რაფიელის ასული ყიფშიძე, ნინა დურმიშხანის ასული ჟურული, ა. ქუთათელაძე, ალექსი ვასილის ძე ჭიჭინაძე, ალექსანდრე ივანეს ძე ნათაძე, იოსებ ზოსიმეს ძე ბაქრაძე, რ. ჯაჯალაშვილი, ვასილ სულხანოვი, ალექსანდრე გრიგოლის ძე ჯაბადარი. მელანი. რუსულ ენაზე. 27 გვ.

146. ტფილისის მარინინის ეკლესიის მიერ გაცემული ცნობა თებრონია სპირიდონის ასულ ჯაბადარის 1890 წ. 22 აგვისტოს გარდაცვალებასა და პეტრე-პავლეს სასაფლაოზე დაკრძალვასთან დაკავშირებით.
პირი: მღვდელი სოლომონ შოშიევი, ილარიონ კანდელაკი.
1891 წ. 23 სექტემბერი. ხელნაწერი. მასალა დამოწმებულია ტფილისის მარინინის ეკლესიის ბეჭდით. მელანი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

147. კომედია „ალიაქოთი კეთილშობილ ოჯახში“. თარგმანი ალ. აბაზაძის.
1904 წ. ხელნაწერი. მელანი. 77 გვ.

148. საგარეჯოს მიძინების ეკლესიის მიერ გაცემული ცნობიდან ამონაწერი ნინა სპირიდონის ასულ ჯაბადარის 1858 წლის 1 ივლისს გამართული ნათლობის შესახებ (მასალა ამოწერილია ნიკოლოზ ავალიშვილის მიერ).
პირი: მამა – სპირიდონ ივანეს ძე ჯაბადარი, დედა – მინადორა სოლომონოვა, საგარეჯოს მიძინების ეკლესიის მღვდელი ისიდორე ქურხული.
1918 წ. 1 აპრილი. ხელნაწერი. ცნობა დამოწმებულია საგარეჯოს მიძინების ეკლესიის ბეჭდით. მელანი. 1 გვ.

149. სრულიად საქართველოს საკათოლიკოზო საბჭოს მიერ გაცემული მოწმობა ნინო ნიკოლოზის ასულ ავალიშვილის თბილისის მაზრის, საგარეჯოს მიძინების ეკლესიაში 1884 წლის 1 აგვისტოს საიდუმლო ნათლობის შესახებ.
პირი: მამა – სოვეტნიკი ნიკოლოზ იაკობის ძე ავალოვი (ავალიშვილი), დედა – თებრონია სპირიდონის ასული სტულიერი, მიმრქმელი – სტატსკი სოვეტნიკის ნიკოლოზ ჯაბადარის ქალი ლეონილა, მღვდელი – ნიკოლოზ დავითის ძე დავიდოვი.
1918 წ. 18 ნოემბერი. თბილისი. ნაბეჭდი. ასლი. 1 გვ.

150. არჩილ ნიკოლოზის ძე ავალიშვილის (ნიკოლოზ ავალიშვილის ვაჟიშვილი), უძრავი და მოძრავი ქონების ნიკოლოზ ავალიშვილის სახელზე მინდობილობის გაფორმების შესახებ.
1919 წ. 23 იანვარი. ნაბეჭდი. ხელით შევსებული. მელანი. ქართულ და რუსულ ენებზე. 18 გვ.

151. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აღმასრულებელი ფურცელი, საგარეჯოს მომრიგებელი მოსამართლის, 1919 წლის 27-30 ქრისტეშობისთვის (დეკემბერი) გადაწყვეტილებით არჩილ, ირაკლი, ქეთევან, ნინო და რუსუდან ავალიშვილებისთვის საკუთრებაში წისქვილის გადაცემასთან დაკავშირებით.
1920 წ. 26 ივლისი. ნაბეჭდი. ხელნაწერი. ხელს აწერენ: სასამართლოს ბოქაული დ. თუშმალიშვილი, მდივანი ნაკაიძე, სასამართლოს მომწყობი განყოფილების გამგე გ. შაკაბაშვილი. მელანი. ქართულ და რუსულ ენებზე. 9 გვ.

152. პირობის წერილი სოფელ საგარეჯოში არსებული ვენახის („ესტატაური“) დავით ჯაბადარის კუთვნილებაში გადაცემის შესახებ.
პირი: ივანე სპირიდონის ძე ჯაბადარი, ლეონილა ნიკოლოზის ასული სავიჩისა, ნიკოლოზ იაკობის ძე ავალიშვილი, ნინო სპირიდონის ასული ქართველიშვილისა, ვალენტინა ანდრიას ასული უზნაძისა.
1921 წ. 20 მარტი. ხელნაწერი. ხელს აწერენ: ნინო ქართველიშვილისა და ვალენტინა უზნაძის სურვილით, ნიკოლოზ ავალიშვილი, ლეონილა სავიჩი, დავით ჯაბადარი. მელანი. 3 გვ.

153. თბილისის მაზრის საგარეჯოს რაიონის მილიციის მიერ გაცემული მოწმობა ივანე სპირიდონის ძე ჯაბადარის 1913 წლის 16 აგვისტოს გარდაცვალებასთან დაკავშირებით.
1922 წ. 16 ოქტომბერი. ხელნაწერი. ასლი. მასალა დამოწმებულია საგარეჯოს რაიონის მილიციის ბეჭდით. რუსულ ენაზე. 2 ეგზ. 1 გვ.

154. ნ. ავალიშვილისადმი გაგზავნილი ექიმ ალექსიძის მიერ ნათარგმნი „დონ-კიხოტის“ II ნაწილში მოთავსებული ლექსები, რომლებიც მიძღვნილია პოეტ მარიჯანისადმი (მარიამ ტყემალაძე-ალექსიძე).
1929 წ. 23 მარტი. ტფილისი. ხელნაწერი. მელანი. 2 გვ.

155. ბარბარე სიმონის ასულ ხებრილაშვილის ხელწერილი, მისი ვაჟიშვილის ონიკას ნიკოლოზ ავალიშვილთან მუშაობის დროს სრულად მიღებული ხელფასის შესახებ
1929 წ. 16 აპრილი. სოფელი საგარეჯო. ხელნაწერი (ადასტურებს გიორგი ივანეს ძე ქურხული). მელანი. 1 გვ.

156. გიორგი (გოგლა) ლეონიძის წერილი ნიკოლოზ ავალიშვილის ოჯახისადმი, მწერალთა მუზეუმის თანამშრომლისთვის ხელნაწერებისა და წიგნების სრულად გადაცემასთან დაკავშირებით.
პირი: გიორგი მოზდოკელი.
1938 წ. 13 ნოემბერი. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.

157. მწერალთა მუზეუმის თანამშრომლის გიორგი მოზდოკელის ხელწერილი ნიკოლოზ ავალიშვილის ოჯახისგან წიგნებისა და არქივის (ათი შეკვრა და ერთი წიგნის „საქართველოს ისტორია“ (ფრანგულ ენაზე) შეძენასთან დაკავშირებით.
1938 წ. 13 ნოემბერი. თბილისი. ხელნაწერი. მელანი. 1 გვ.

158. გ. ნათაძის წერილი არჩილისადმი (ნიკოლოზ ავალიშვილის ვაჟი), გამოფენისთვის ნიკოლოზ ავალიშვილის ფოტოს დროებით გაგზავნასთან დაკავშირებით.
1941 წ. 1 თებერვალი. ხელნაწერი. მელანი. 1 გვ.

159. საადგილმამულო ბანკის დარბაზში გამართული სოფლის მწარმოებელ-მომხმარებელ ამხანაგობათა დამხმარე საზოგადოების მიერ წარდგენილი პროექტის სარეკლამო ფურცელი.
წ. (?). 2 აპრილი. თბილისი. ნაბეჭდი. 1 გვ.

160. სოფელ საგარეჯოში გამართული მეურნეთა თათბირის მოწოდება.
წ. (?). 29-31 აგვისტო. ნაბეჭდი. 1 გვ.

161. ნიკოლოზ ავალიშვილისა და მისი ოჯახისგან, ქართულ ისტორიულ-ეთნოგრაფიული საზოგადოების წიგნთსაცავ-მუზეუმისთვის შეწირულირ წიგნების, ნივთებისა და ხელნაწერების სია (ბოლო გვერდზე მითითებულია „თეატრალური მუზეუმისთვის“ გადაცემული აფიშების, პროგრამების, ხელნაწერებისა და ძვირფასი ნივთების სია).
უთარიღო. ავტოგრაფი. მელანი. 4 გვ.

162. პეტრე გრიგოლის ძე უზნაძის ქვრივის, ვალენტინა უზნაძის თხოვნის წერილი საქართველოს რეს-პუბლიკის სახალხო განათლების სამინისტროსადმი, მეუღლის გარდაცვალების გამო დანიშნული, ხოლო შემდგომ შეწყვეტილი პენსიის განახლების შესახებ.
უთარიღო. ხელნაწერი. მელანი. 1 გვ.

163. ტფილისის გუბერნიის, სოფლისმმწარმოებელ და მომხმარებელ გამგეობათა დამხმარე საზოგადოების წესდება.
1) საზოგადოების დანიშნულება, 2) საზოგადოების შემადგენლობა, წევრთა უფლება და ვალდებულება. 3) საზოგადოების შეძლება. 4) საზოგადოების აღებ-მიცემობა და მისი წარმოება. 5) საზოგადოების საქმეთა გამგეობა. 6) შუამავალი საზოგადოების დასაფუძნებლად.
უთარიღო. ავტოგრაფი. მელანი. 13 გვ.

164. ქართული დრამატული დასის ჩამონათვალი.
უთარიღო. ხელნაწერი. მელანი. 3 გვ.

165. უცნობი ავტორის მოთხრობა. არასრული.
უთარიღო. ხელნაწერი. შავი და ლურჯი მელანი. ფანქარი. 295 გვ.

166. შინაგან საქმეთა სამინისტროს ამხანაგობის მიერ წარდგენილი განჩინება ყოველკვირეული გაზეთის „მეურნის“ გამოცემასთან დაკავშირებით.
უთარიღო. ხელნაწერი. მელანი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

167. თხზულებისთვის „საქართველო XVIII საუკუნეში“ შეგროვილი მასალების ჩამონათვალი.
უთარიღო. ხელნაწერი. ფანქარი. ქართულ და რუსულ ენებზე. 2 გვ.

168. ნიკოლოზ ავალიშვილისა და მისი ოჯახის მიერ საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული საზოგადოებისადმი საჩუქრად გადაცემული ისტორიუული მასალების, ხელნაწერების, წიგნებისა და ძვირფასი ნივთების ჩამონათვალი.
უთარიღო. ავტოგრაფი. მელანი. 8 გვ.

169. ნიკოლოზ ავალიშვილის არქივში არსებული წმინდანთა და საზოგადო მოღვაწეთა ლითოგრაფიული სურათები. 1) წმინდა მოწამე აბო თბილელი (მ. საბინინი). 2) გიორგი ერისთავი (მესხიევი). 3) მეფე ერეკლე. 4) რაფიელ ერისთავი (მესხიევი). 5) იაკობ გოგებაშვილი. 6) სერგო მესხი, იოსებ დავითაშვილი (მესხიევი). 8) სულხან-საბა ორბელიანი.
უთარიღო. 8 ც.

170. თხზულება „ბარტელ ტურაზერ“ (ლანგმანი). ი. ეპიტაშვილის თარგმანი.
უთარიღო. ხელნაწერი. მელანი. არასრული. 99 გვ.

171. თხზულება „ბარტელ ტურაზერ“ (ლანგმანი). ი. ეპიტაშვილის თარგმანი.
უთარიღო. ხელნაწერი. მელანი. 135 გვ.

172. 1) მოთხრობები: „შინისკენ“ (ციმბირში გადასახლებულთა ცხოვრებიდან). 2) „ჩხუბი ერთ კვერცხზე“. 3) „სარდალი იოანე“ (პირველ ქრისტიანთა დროიდან). 4) „ძმა ძმის მტერია“ (I მათხოვარი).
უთარიღო. ხელნაწერი. მელანი. 227 გვ.

173. პიესა „უცნობი კაცი“ (ნაწილი პირველი).
უთარიღო. ხელნაწერი. მელანი. 105 გვ.